პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 დეკემბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 233 (9394) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტის სასახლეში დღეს მთავრდება რესპუბლიკის ჩემპიონატი (ცალკეული საგნებით) და თასის (მრავალჭიდი) გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში ექვსი გუნდი (თბილისის ორი) ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის კოლექტივი მონაწილეობს. მონაწილეთა შორის არიან რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის მესამე პრიზიორები გუნდურ შეჯიბრებაში — თინა ნადირაშვილი, ელისო გედეშვილი ინგა ჩხაიძე და ხათუნა აფაქიძე. ტურნირი გამოავლენს იმ სპორტსმენებს, რომლებიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის შეუდგებიან მზადებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემორიალის ფინიშთან

წინსვლის ეტაპი

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ დაიხურა ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული (VII) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

დასკვნით, XV ტურში, რომელიც 4 დეკემბერს გაიმართა, ყაიმზე შეთანხმდნენ აზმაიფარაშვილი — რომანიშინი, ტალი — კაიდანოვი, კანცლერი — კაროლი და ზაიჩიკი — ცვიტანი. უბილავამ დაამარცხა მაკდონალდი და არხიპოვმა — პეკარეკი

ამრიგად, საბოლოოდ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: I-II. მ. ტალი (რიგა), ზ. აზმაიფარაშვილი — 10-10 ქულა, III-IV. ო. რომანიშინი (ლვოვი), ბ. კანცლერი (ფრუნზე) — 9,5-9,5, V. ე. უბილავა — 8,5, VI-VII. ვ. მალანიუკი (სევასტოპოლი) ო. ცვიტანი (იუგოსლავია) — 8-8, VIII-IX. გ. ზაიჩიკი, გ. კაიდანოვი (მოსკოვი) — 7,5-7,5. X. ს. არხიპოვი (მოსკოვი)—6,5, XI. ი. ფოიშორი (რუმინეთი) — 6, XII. ტ. კაროლი (უნგრეთი) — 5,5 XIII. ნ. მაკდონალდი (ინგლისი)— — 4, XIV. ბ. გურგენიძე — 3, XV. ა. პეკარეკი (ჩეხოსლოვაკია)—1,5.



მიხეილ ტალი

ზურაბ აზმაიფარაშვილი

მიხეილ ტალის გამარჯვება მოულოდნელი როდია. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ამ გამარჯვებით მან საკუთარ თავს ერთგვარი საჩუქარი მიუძღვნა დაბადების 50 წლისთავზე! ზურაბ აზმაიფარაშვილის წარმატებაც ლოგიკური გვეჩვენება. ამ ბოლო დროს, ამას ყველა ხედავს, ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი ჩინებულად თამაშობს და სასახელო წარმატებებსაც აღწევს. მემორიალში ზურაბმა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი (9,5 ქულა) შეასრულა. ასე რომ, მალე ჩვენს საჭადრაკო ორგანიზაციას კიდევ ერთი დიდოსტატი შეემატება (ვფიქრობთ, ზურაბს არ გაუჭირდება დიდოსტატის მეორე ბალის მოპოვება).

ოლეგ რომანიშინი კმაყოფილია თავისი შედეგით: მან ღიმილით გვითხრა:

— მე და მიხეილ ტალს, როცა ტურნირში ერთად ვმონაწილეობთ, ყოველთვის ქიშპობა გვაქვს. ამჯერად მან მაჯობა. ერევნის საერთაშორისო ტურნირში მე გავუსწარი.

დიდ წარმატებას მიაღწია 24 წლის ბორის კანცლერმა. მას, პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ოსტატის ნორმატივის (7 ქულა) შესრულება სურდა, მაგრამ მიაღწია მეტს. ამ ნიჭიერი და შეუპოვარი ახალგაზრდა ფრუნზელი მოჭადრაკის დამარცხება მხოლოდ აზმაიფარაშვილმა შეძლო.

სხვებმაც კარგად ითამაშეს, მაგრამ ზოგს ნამდვილად არ გაუმართლა. მაგალითად, ელიზბარ უბილავას საერთაშორისო დიდოსტატის მეორე ბალის მიღება შეეძლო, მაგრამ ფინიშზე ერთმა წაგებამ ხელი შეუშალა.

მეტს მოველოდით გენადი ზაიჩიკისგან. ზედიზედ სამი პარტია რომ არ წაეგო, უთუოდ პრიზიორებში იქნებოდა.

აშკარად ვერ იყო ფორმაში ჩვენი პირველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე. იგი ავადმყოფობის გამო გამოეთიშა ტურნირს.

უცხოელი მოჭადრაკეებიდან მხოლოდ ოგნიან ცვიტანი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

VII მემორიალი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ქართული ჭადრაკის მემატიანე ბევრჯერ მოიხსენიებს, როგორც ჩვენ მოჭადრაკეთა წინსვლის კიდევ ერთ ეტაპს.

თენგიზ გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

აკრობატთა ოთხეული

შარშან ამ დროს ვინმეს რომ ეთქვა, ჩვენი აკრობატთა ოთხეული სპარტაკიადის ჩემპიონი გახდება, გამოუსწორებელ მეოცნებედ ჩათვლიდნენ. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ წლობით შეჩვეული ძველი ოთხეული დაიშალა — ორი წევრი შეიცვალა. ეს გადაადგილება იმან გამოიწვია, რომ ვარჯიშები გართულდა და საჭირო იყო ისეთი ოთხეულის შექმნა, რომელიც ამ დატვირთვას ფიზიკურად გაუძლებდა. მწვრთნელმა ანატოლი სლივკომა ოთხეულის ქვედა „დამჭერ" წევრად სწორედ ასეთი, ათლეტური აღნაგობის აკრობატი ვახტანგ ბოტკოველი შეარჩია (ამავე პრინციპით შეიყვანეს გუნდში მეორე წევრი გია ალაპიშვილი). ამ ნაბიჯის გადადგმა სარისკო ჩანდა, რადგან ვახტანგს წელიწადზე მეტი არ უვარჯიშია. კიდევ ერთი დაბრკოლება—ოთხეულის სამი წევრი ჯარში იყო გაწვეული და მხოლოდ ახალი წლიდან მოხერხდა მათი შეკრება. ჯგუფურ ვარჯიშში წარმატების მისაღწევად ერთი წელი მაინცაა საჭირო, ისიც იმ პირობით, თუ ოთხეულის ყველა წევრი კარგ სპორტულ ფორმაშია.

ანატოლი სლივკომა (მას ეხმარებოდა ვახტანგ ბოტკოველის მწვრთნელი თამაზ ბუზიაშვილი), როგორც იტყვიან, შეუძლებელი შეძლო. რამდენიმე თვის შემდეგ მისი შეგირდები: ვახტანგ ბოტკოველი, ოლეგ სლივკოვი, გია ალაპიშვილი, გოდერძი ახობაძე ვარჯიშზე ათიდან ათ რთულ კომბინაციას შეუცდომლად და მსუბუქად ასრულებდნენ. წარმატებას ხელი შეუწყო ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმაც: სლივკოვის ოთხეულს დიდ კონკურენციას უწევდა თბილისელთა მეორე გუნდი — ილია გოგორიშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია და ემზარ აბუაშვილი (მწვრთნელი ალექსანდრე მავრანგელოვი). სწორედ ამ მძაფრმა კონკურენციამ განაპირობა ორივე ოთხეულის სპორტული ოსტატობის სრულად გამოვლენა. საქართველოს ხალხთა სპარტაკიადაზე სლივკოვის ოთხეულმა ჩემპიონობა მოიპოვა. თბილისში ვოლკოვის თასის გათამაშებაში მავრანგელოვის ოთხეული უფრო საიმედოდ გამოიყურებოდა. ახლა მთავარი იყო, ვინ შეინარჩუნებდა სპორტულ ფორმას

იხ. მე-4 გვ.

შაბათს და კვირას

სად ვივარჯიშოთ, სად ვიასპარეზოთ, სად დავისვენოთ

⊙ **თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება მიღება აერობიკის, ათლეტური ტანვარჯიშის, ჩოგბურთისა და ბრიჯ-დანსის ჯგუფებში. იქვე ერთდროულ ფასიან მომსახურებას გაგიწევენ მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულებს. დღეს და ხვალ სპორტის სასახლის არენაზე გრძელდება სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების საქალაქო სპარტაკიადით გათვალისწინებული შეჯიბრებები.**

⊙ დღეს ერთდროულად (14 საათზე) თბილისში დაიწყება ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება — „ლოკომოტივის" სტადიონზე ფეხბურთში საქართველოს თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან ბოლნისის „მადნეულისა" და ჩხოროწყუს „სამეგრელო". ცირკის არენაზე კი მცხეთის რაიონის სოფელ წილკანისა და საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის საუკეთესო ფალავნები იასპარეზებენ.

ეს ბავშვები პირველად მონაწილეობენ მათთვის ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში — მიმდინარეობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გახსნილ ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფების მომავალი კონტიგენტის შერჩევა. 3 დეკემბერს მძლეოსნურ მანეჟში ძალა მოსინჯეს თბილისის № 1 საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა.

იხ. მე-4 გვ.



მთავარი ფიგურა — მასწავლებელი!

სისხამ დილით სავანეში...

ათი წლის მუშაობა ზოგიერთი ფიზიკური აღზრდის მასწავლებლისთვის მხოლოდ სტაჟია, ვაჟა კაპანაძეს კი სოფლის საშუალო სკოლაში მოღვაწეობამ ბევრი რამ სასიკეთო შესძინა.

მან ჯერ გორის პედაგოგიური, მერე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა. მუყაითი სწავლით იქაც და აქაც თავი გამოიჩინა. სახელმწიფო გამოცდები ფრიადებზე ჩააბარა. ინსტიტუტში დარჩიო, პედაგოგებმა ურჩიეს, მაგრამ ვაჟამ სკოლაში მუშაობა ამჯობინა. უკვე ათი წელია, რაც მშობლიურ სოფელთან მეზობლად მდებარე სავანეშია და ფიზკულტურას ასწავლის.

მუყაით მუშაკს შარშან „წარჩინებული მასწავლებლის" წოდება მიანიჭეს, საქართველოს 10 საუკეთესო ფიზკულტურის მასწავლებელს შორის დაასახელეს, საქართველოს განათლების სამინისტროს და პროფკავშირების სიგელითაც დააჯილდოვეს და უფროს მასწავლებლადაც გადაიყვანეს.

მაგრამ სიგელებზე დიდი ჯილდოა ის სიყვარული, რასაც სავანელი მოსწავლეები მის მიმართ იჩენენ.

მაინც, რატომ უყვართ ასე გამორჩეულად ბავშვებს ეს ახალგაზრდა მასწავლებელი?

— ბავშვს არ უნდა უღალატო,— ამბობს ვაჟა კაპანაძე. — ღალატია ის, გაკვეთილს რომ რაღაცას დააკლებ. სკოლაში მოსული საორგანიზაციო საქმეების მოგვარებას შევუდექი. ახლა ფიზკულტურის გაკვეთილზე ყველა მოსწავლე ფორმაში გამოწყობილი ცხადდება. ბიჭებს ლურჯი მაისურები აცვიათ, გოგონებს — თეთრი. IX-X კლასის მოსწავლეები ფიზკულტურის საბჭოს წევრად ავირჩიეთ. ახლა, დიდ დასვენებაზე, თავად გამოჰყავთ უმცროსკლასელები სავარჯიშოდ და სათამაშოდ, თავისუფალ დროს სპორტის საინტერესო ამბებს უყვებიან.

სკოლის ფიზკულტურის მოედანზე უჩვეულოდ განიერი სახტომი ორმო შევნიშნე და როცა ვნახე წყვილ-წყვილად როგორ ხტებოდნენ ბავშვები სიგრძეზე, მასწავლებლის საზრიანობაში დავრწმუნდი.

სპორტდარბაზში კი ინვენტარი წყვილ-წყვილად აწყვია, ბავშვები ერთიმეორეს რომ არ ელოდონ. გაკვეთილზე ყველა ბავშვი მაქსიმალურადაა დატვირთული.

— საშინაო დავალებას ყველას სათითაოდ ვაძლევ, — მითხრა ფიზკულტურის მასწავლებელმა. — ცარციძეების და ამყოლაძეების უბნებში საშინაო დავალებამ მშობლებიც დააინტერესა. ახლა ისინი ერთად ვარჯიშობენ ხოლმე.

სკოლაში 5 სპორტული სექცია მუშაობს. ფიზკულტურის მასწავლებლის აზრით, ეს საკმარისია. სავანელ როსტომ ღონღაძეს რაიონულ სპორტულ სექციაში არ უვარჯიშია. იგი სკოლის სექციაში გახდა თანრიგოსანი სპორტსმენი და სკოლა რომ დაამთავრა, ფიზკულტურის ტექნიკუმში ჩააბარა მისაღები გამოცდებიო, გვითხრა ვაჟამ.

ვაჟა კაპანაძე რაიონის ფიზკულტურის მეთოდგაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეც არის. კარგ მასწავლებელთან სასარგებლო რჩევა-დარიგების მისაღებად მოდიან კოლეგები.

ვაჟა საჩხერის სპორტული სკოლის ძალოსნობის ჯგუფსაც ავარჯიშებს. წელს საჩხერელებმა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე II ადგილი დაიკავეს, წინა სპარტაკიადაზე III ადგილზე გავიდნენ. პირად პირველობაში ვლადიმერ გაფრინდაშვილი (90 კგ) მეორე იყო, კობა დიდბერიძე (40) — მესამე.

ვაჟას აღზრდილია გია გაბრიჭიძე (60 კგ) — საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, პაატა კვიჟინაძე (მძიმე წონა) — საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, გოჩა ჭიტაძე — სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე ახალგაზრდებს შორის გამარჯვებული.

ვაჟა კაპანაძე ოჯახის მამაც გახლავთ. თავის მარჯვენით აშენა კოპწია ოდა მერჯევში. აქედან ყოველ სისხამ დილით მიიჩქარის სავანეში, სადაც მას ლურჯ-თეთრ ფორმაში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ელოდებიან.

გაბრიელ ბარჯაძე,
„ლელოს" სპეც. კორ.

სოფ. სავანე,
საჩხერის რაიონი.

ანგარიშს აბარებს სპორტკლუბი

ინსტიტუტი სპორტულ პროფილს იძენს

თბილისი. ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კონტიგენტი ამ ბოლო დროს, ასე ვთქვათ, სპორტული გახდა. დღეს სასწავლებლის დღისა და დაუსწრებელ განყოფილებებზე 60-მდე მოქმედი სპორტსმენი სწავლობს. მათ შორის არიან: საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი აკრობატიკაში ფ. სულაქველიძე, საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორი ციგურებით სწრაფრბენაში ი. გილაური, IX სპარტაკიადის მესამე პრიზიორი სინქრონულ ცურვაში ა. ვაზნიუკი და სხვები. ინსტიტუტში ხშირად ტარდება სპორტული ღონისძიებები, მატულობს მონაწილეთა რიცხვი. ბოლო წლების მანძილზე სპორტულმა კლუბმა, ფიზაღზრდის კათედრასთან ერთად, 154 მასობრივი სპორტული ღონისძიება ჩაატარა, გადაჭარბებით შესრულდა მშდ-ს კომპლექსის ნიშნოსნებისა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. მომავალი პედაგოგები ახლა უკეთესად გამოდიან სტუდენტურ შეჯიბრებებში. პერიოდულად ეწყობა პროფესორ-მასწავლებელთა შიდასაინსტიტუტო სპარტაკიადა. ამ ინსტიტუტის პედაგოგებმა წლეულს რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე 20 კოლექტივს შორის მე-5 ადგილი დაიკავეს. აღდგა მივიწყებული ტრადიციაც — სტუდენტურ დღეებში მონაწილეობის მისაღებად ერევნის ბრიუსოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებს იწვევენ და მათთან ამხანაგურ შეხვედრებს მართავენ ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. ამას წინათ სპორტკლუბის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან ნონა გაფრინდაშვილთან.

საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე სპორტკლუბის თავმჯდომარემ, ინსტიტუტის პრორექტორმა ვ. სართანიამ, შემდეგ კი კამათში გამოსულებმა: ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა რ. მეტრეველმა, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" თავმჯდომარემ ნ. ერაძემ და სხვებმა გულისტკივილით ილაპარაკეს ინსტიტუტის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ითქვა, რომ დღეისათვის ინსტიტუტის 16 სპორტულ სექციაში მხოლოდ 454 სტუდენტია გაერთიანებული, ანუ მთელი კონტიგენტის მხოლოდ 21,5 პროცენტი. ეს ძირითადად სპორტული ბაზების უკმარისობის ბრალია. ინსტიტუტს აქვს ერთი სპორტული დარბაზი და ტირი, რაც დღევანდელ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. ასე რომ, სტუდენტთა უმრავლესობას და პროფესორ-მასწავლებლებს სისტემატური ფიზკულტურულ-სპორტული წრთობის საშუალება არა აქვთ. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის უქონლობის გამო სასწავლებლის ფიზკულტურელები და სპორტსმენები ზაფხულობით ვერ ახერხებენ ვარჯიშსა და აქტიურ დასვენებას. ითქვა ისიც, რომ დროა გადაწყდეს სპორტული ბაზების საკითხი.

კონფერენციის მონაწილეებმა ილაპარაკეს გამოუყენებელ რეზერვებზეც. აღინიშნა, რომ ბევრი რამ გაკეთდა სტუდენტთა ქალაქში მცხოვრები ქალიშვილებისა და ჭაბუკების ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ჩასაბმელად. სტუდენტთა სამსახურში ჩადგა ტრენაჟორებით აღჭურვილი სპორტული ოთახი, ჩამოყალიბდა რბენის მოყვარულთა და ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბები, ტარდება სპორტული ღონისძიებები, მაგრამ სამწუხაროდ, ამ საქმიანობაში საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ყველა სტუდენტი არ არის ჩაბმული და სპორტკლუბმა და ფიზაღზრდის კათედრამ სწორედ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება.

ვაჟა დანელია.

ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

მიჯნები ახალი, პრობლემები ძველი

ერთთვიანი არდადეგების შემდეგ ქუთაისის „მშენებლის" რეგბისტთა გუნდი კვლავ შეიკრიბა და მომავალი სეზონისათვის დაიწყო მზადება.

„მშენებელმა", რომელიც წლების მანძილზე ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერთა შორის იმკვიდრებდა ადგილს და ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს ისაკუთრებდა, წელს მოპოვებული პოზიციები დათმო და მხოლოდ რვა უძლიერეს კოლექტივს შორის მოსახვედრად იბრძოლა. გუნდი საბოლოოდ „ა" ფინალურ ჯგუფში ბოლო, მერვე ადგილზე გავიდა. რა იყო ამის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, გუნდის წინაშე წამოჭრილი პრობლემები. თუმცა, უმჯობესია თავად გუნდის უფროს მწვრთნელს მოვუსმინოთ.

—შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ შედეგით არც ისე უკმაყოფილო ვარ... ბუნებრივია, წინა ორი საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორ გუნდს წლევანდელი მე-8 ადგილი უნდა აღელვებდეს, მაგრამ... ის პრობლემები, რომელთა წინაშე „მშენებელი" დგას, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე უკეთესი შედეგის მიღწევის საშუალებას არ გვაძლევდა. გარდა იმისა, რომ გუნდს „თავშესაფარი" არა აქვს, ექვსი ძირითადი მოთამაშე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

მათი ღირსეული შემცვლელების დროზე პოვნა არ მოხერხდა, ამიტომაც გუნდმა უფროსი მწვრთნელისა და ძირითადი მოთამაშეების გარეშე სუსტად ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატის ტური და თითქმის დაკარგა რვა უძლიერეს გუნდს შორის მოხვედრის შანსი. სწორედ ამ პერიოდში ჩავიბარე გუნდი. იმ დროს ბევრი წამყვანი მოთამაშე დაშავებული იყო და ერთბაშად 12-13 ძირითადი რეგბისტის შემცვლელის ძიება მოგვიხდა. ახალგაზრდებს გამოცდილება აკლდათ, ამიტომ იძულებული გავხდით კოლექტივში რამდენიმე ვეტერანი დაგვებრუნებინა.

განსაკუთრებით დაცვაში გვიჭირდა, აქ მხოლოდ ლიპარტელიანის, ხამაშურიძის, გიორგაძის იმედი გვქონდა. მიუხედავად ამისა, ბიჭებმა შესაშური მონდომებით ითამაშეს მოსკოვის ტურში და თითქმის შეუძლებელი შეძლეს, კვლავ დაიმკვიდრეს ადგილი „ა" ჯგუფში. მაგრამ შემდეგ მატჩებში არათანაბრად ვითამაშეთ. სულზე მოგვისწრო ერთთვიანმა შესვენებამ. ნაყოფიერად ჩავატარეთ საწვრთნელი შეკრება ჩაქვში. ბიჭებმა ტრავმებიც მოიშუშეს და სპორტული ფორმის აღდგენაც შეძლეს. მე, როგორც მწვრთნელი, ყურადღებას ვაქცევ სპორტსმენთა დისციპლინას და პასუხისმგებლობის გრძნობას. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და იმედი მქონდა, რომ მეორე წრეში უკეთ ვითამაშებდით. ასეც მოხდა, მაგრამ პირველ ტურებში დაკარგულის ანაზღაურება ვეღარ შევძელით. რადგან პრიზიორთა შორის მოხვედრის შანსი დავკარგეთ, სხვა მიზანი დავისახეთ: ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ახალბედა რეგბისტი შევიყვანეთ გამოცდილების მისაღებად. ისინი ალბათ, მომავალ სეზონში იტყვიან თავიანთ სათქმელს. პერსპექტიული რეგბისტები არიან ემზარ შანიძე, პაატა ძოწენიძე, მურად ჭიქაბერიძე, ავთო პაპუაშვილი და სხვები. გაისად სამხედრო სამსახურში გაწვეული ბიჭებიც დაგვიბრუნდებიან და ვფიქრობ, მომავალ სეზონში ალბათ გაცილებით უკეთ ვითამაშებთ. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჩემპიონატის ბოლო მატჩები და რუმინელებთან კარგად ჩატარებული შეხვედრა. დიახ, მიჯნები ახალი დავისახეთ, მაგრამ ხელშემშლელი პირობები არ იცვლება. გუნდის ძველ ხელმძღვანელებს არაერთხელ უთქვამთ — სათანადო პირობები რომ გვქონოდა, ჩვენი გუნდი ჩემპიონიც გახდებოდა და თასსაც მოიპოვებდაო. სავსებით ვიზიარებ მათ ვარაუდს, მჯერა, რომ ჩვენს კოლექტივს საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამს...

— ხელშემშლელი პირობები ახსენეთ...

— დრო გადის, სეზონი სეზონს მისდევს, საფიქრალი და საწუხარი არ გვაკლდება, პირიქით, გვემატება. დღესაც სათამაშო თუ სავარჯიშო მინდორს ვეძებთ. „დინამოს" სტადიონის ხელმძღვანელებმა თავიდანვე უსასყიდლოდ დაგვითმეს მოედანი, მაგრამ იქ დაწყებული რემონტი უსაშველოდ გაჭიანურდა და სტადიონზე თამაში შეუძლებელი გახდა, ამიტომ რამდენიმე მატჩი მეზობელი რაიონების მოედანზე გავმართეთ.

„მშენებელი", ალბათ, ერთადერთი გუნდია უმაღლეს და პირველ ლიგაშიც, რომელიც დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის გარეშე გამოდის ჩემპიონატში, ხელმძღვანელებს ზოგჯერ ნასესხები ფულით მიგვყავს გუნდი სათამაშოდ.

აქამდე ვერ ვეღირსეთ ავტობუსს, ექიმ-ტრავმატოლოგს. ყველაფრის ჩემოთვლა შორს წაგვიყვანს, თანაც არც ჩვენ მოგვწონს ეს წუწუნი, მით უმეტეს, რომ გვპირდებიან რეგბის ბაზის აშენებას, დრო აღარ ითმენს, საჭიროა მშენებლობის დაჩქარება.

გუნდი ორი წელია „მშენებლის" სახელით გამოდის, მაგრამ ჩვენი ერთადერთი პატრონი კვლავ სახლმშენებელი კომბინატია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას სპორტული კლუბი „მშენებელი", რომელიც არა მარტო საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში, არამედ, რეგბისტთა მომავალი თაობის აღზრდაშიც დაგვეხმარება. ახალგაზრდა, დამწყებ რეგბისტებთან მომუშავე მწვრთნელების შესაშური ენთუზიაზმი და მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა რომ არა, ვფიქრობ, ჩვენთან პერსპექტიული რეგბისტები ვერ აღიზრდებოდნენ, „მშენებელიც" გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. რიონისპირელი ბიჭები ენთუზიაზმის წყალობით იმარჯვებენ და საპრიზო ადგილებზე გადიან რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში. ასეთ პირობებში ღირსეული ცვლის აღზრდა ძნელია, რადგან ენთუზიაზმი ადვილად შეიძლება ჩაქრეს, სიყვარული განელდეს. რამდენი ბიჭი გამოსტაცა ქუჩას რეგბიმ, მარტო ამისთვის ღირს მასზე ზრუნვა.

ვიმეორებ, რეგბისტები მობუზღუნე ხალხი არა ვართ, მაგრამ რა... მართალია, მართალია, ჩვენც (და სხვასაც...) მოგვწყინდა გასაჭირზე ლაპარაკი. ამჯერადაც მხოლოდ ვარჯიშისა და თამაშის მინიმალურ პირობებს მოვითხოვთ. „მშენებლის" მიზანი არასოდეს ყოფილა და არც იქნება რვა უძლიერეს კოლექტივს შორის მოხვედრა. ჩვენ გვსურს თვალსაჩინო წარმატებას მივაღწიოთ საკავშირო ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაში.

საინტერესო სეზონი გველის: გაისად უმაღლეს ლიგაში ხომ ერთბაშად ჩვენი რესპუბლიკის სამი გუნდი ისპარეზებს, რაც ქართული რეგბის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „შევარდენისა" და „ლოკომოტივის" მწვრთნელებს, რეგბისტებს ეს დიდი წარმატება მივულოცო და ვუსურვო, მომავალ სეზონში სამივეს წარმატებით დაგვეცვას ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

საუბარი ჩაიწერა
თამაზ ხარაბაძემ.

ქუთაისი.

„ლელოს" ზონალური კორესპონდენტი გვატყობინებს:

ჩხოროწყუ

საჭადრაკო კლუბ „ახალგაზრდულში" ჩატარდა რაიონული პირველობა ჭადრაკში. ტურნირში 16 ვაჟი და ორი გოგონა მონაწილეობდა, მათ შორის ორი ოსტატობის კანდიდატი და 10 პირველთანრიგოსანი იყო.

პირველ და მეორე ადგილებზე შესაბამისად ოსტატობის კანდიდატები შ. წურწუმია და ტ. ლემონჯავა გავიდნენ. ჩხოროწყუს პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ მარიკა ფირცხალავამ ტოლი არაფერში დაუდო ვაჟებს და მესამე ადგილი დაიკავა.

ზუგდიდი

ქ. ზუგდიდის სპორტკომიტეტის ინიციატივით წვევამდელთა შორის მოეწყო ზონალური პირველობა მრავალჭიდში, შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ცხაკაიის, გეგეჭკორის, აბაშის, მესტიის რაიონების, ქ. ზუგდიდისა და ფოთის წარმომადგენლებმა. პროგრამაში იყო 100 და 1000 მეტრზე სირბილი, ყუმბარის ტყორცნა, მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ტყვიის სროლა, ღერძზე მიზიდვა.

I ადგილი ზუგდიდის რაიონის სპორტსმენებმა დაიკავეს, II — ხობელმა წვევამდელებმა, III ადგილზე ქ. ზუგდიდის წარმომადგენლები გავიდნენ.

მართალია, შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა, მაგრამ გუნდების უმრავლესობა სათანადოდ არ იყო მომზადებული, რაც იმაში გვარწმუნებს, რომ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ვაჟთა მომზადებას შრომისა და თავდაცვისათვის.

ცხაკაია

ქ. ცხაკაიის სასროლეთზე ორი დღის გაგრძელდა რაიონის გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 24 გუნდმა. თითოეული გუნდის ღირსებას 3 ვაჟი და 2 ქალი იცავდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დოსააფის ავტოსკოლის ფიზკულტურის კოლექტივმა დაიკავა, მეორე ადგილზე პირველი საშუალო სკოლის მსროლელები გავიდნენ, მესამეზე — მესამე საშუალო სკოლის სპორტსმენები. პირად შეჯიბრებაში ვაჟებს შორის პირველები იყვნენ რ. ქოლია, თ. [illegible]ვთარაძე და ა. ლომაია. გოგონათა შეჯიბრებაში კი თავი გამოიჩინეს ინგა გოგიამ, მინდა რობაქიძემ და ნათელა წულეისკირმა.

ნუგზარ ჟვანია.

საქართველოს პირველობა

მოგვყავს საქართველოს 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები.

I-XII ადგილები

„კახეთი" (თელავი) — „სულორი" (ვანი) 2:1. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა). გოლები: პაპუაშვილი, ასაბიშვილი („კახეთი"), გოგორიშვილი („სულორი").

„შადრევანი" (წყალტუბო) — „ივერია" (ხაშური) 3:1. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი). გოლები: კუხიანიძე, სვანაძე, ხარაბაძე („შადრევანი"), ლამბაშიძე („ივერია").

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მადნეული" (ბოლნისი) 9:2. მსაჯი ვ. ხერხიანი (თბილისი). გოლები: ქვილითაია, სიჭინავა, ჯ. ახალაია, ქობალია, ალთუნაშვილი, ქავთარაძე-4 („სამეგრელო"), სირბილაძე, მუშკუდიანი („მადნეული").

მსაჯის დაუკითხავად მინდვრიდან გასვლისთვის გააფრთხილეს გ. ყიფშიძე (ბოლნისი).

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ბოლნისელი ფეხბურთელი ვ. სამხარაძე.

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „არმაზი" (მცხეთა) 4:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: ბუანია, გაბისონია, მოქია-2 („ამირანი"), ზუკაკიშვილი („არმაზი").

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მცხეთელი ა. ზუკაკიშვილი.

„დინამო" (ზუგდიდი) — „შევარდენი"-სპი (თბილისი) 1:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: უგრელიძე, ქობელაშვილი („შევარდენი"-სპი), სართანია („დინამო").

„ეგრისი" (ცხაკაია) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ალანია, ბაღუშვილი, ჩიქობავა („ეგრისი"), ბოგვერაძე („მეტალურგი").

XIII-XXIII ადგილები

„დურუჯი" (ყვარელი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:1. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა). გოლები: ქარენაშვილი, მინდიაშვილი („დურუჯი"), სილაგაძე („საპოვნელა").

„იმედი" (თბილისი) — „დინამო" (გაგრა) 0:2. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი). გოლები: მოტოსიანი, ჯიშკარიანი („დინამო").

„სქური" (წალენჯიხა) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 4:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: აბრალავა, ზარქუა, ანთიძე, ბ. კვარაცხელია („სქური").

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 4:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: ხურცილავა, ელიაშვილი, მარეხაშვილი-2 (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ჰუბაბრია („სალხინო").

„მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:2. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი). გოლები: ჩხაიძე-3 („მერცხალი"), მარგიევი, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი").

საბოლოო ცხრილები

I ლიგა

I-XII ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შევარ."-სპი	22	14	5	3	55-24	33
„შადრევანი"	22	15	2	5	48-26	32
„სამეგრელო"	22	14	4	4	49-22	32
„სულორი"	22	11	2	9	40-29	24
„მეტალურგი"	22	10	2	10	36-41	22
„დინამო" ზ.	22	9	4	9	46-32	22
„მადნეული"	22	8	4	10	49-51	20
„კახეთი"	22	8	2	12	30-43	18
„ამირანი"	22	7	2	13	28-48	17
„არმაზი"	22	6	5	11	36-47	17
„ეგრისი"	22	6	3	12	28-59	15
„ივერია"	22	5	3	14	23-45	13

XIII-XXIII

„დინამო" გ.	20	10	4	6	34-25	24
„მერცხალი"	20	10	4	6	30-22	24
„დურუჯი"	20	8	6	6	27-23	22
ფიზკ. ინს.	20	8	6	6	28-25	22
„სალხინო"	20	8	5	7	29-25	21
„სპარტაკი"	20	9	3	8	34-38	21
„საპოვნელა"	20	9	2	9	32-28	20
„სქური"	20	7	6	7	30-33	20
„ქართლი"	20	6	6	8	17-19	18
„იმერეთი"	20	5	6	9	18-24	16
„იმედი"	20	2	8	10	15-32	12

II ლიგა

აღმოსავლეთი ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბახტრიონი"	28	20	3	5	71-27	43
„გამთიადი"	28	17	5	6	61-36	39
„მშენებელი"	28	17	5	6	60-35	39
„სამგორი"	28	17	5	6	40-23	39
„ჰერეთი"	28	15	5	8	56-34	35
„ალგეთი"	28	12	7	9	38-38	31
„არაგვი"	28	12	5	11	50-43	30
„მუხნარი"	28	11	4	13	31-47	26
„ალაზანი"	28	10	5	13	40-44	25
„თრიალეთი"	28	10	4	14	45-51	24
„გარისი"	28	8	8	12	47-47	24
„ფარეჯი"	28	9	5	14	43-52	23
„კოლმეურნე"	28	9	5	14	33-51	23
„მირაქი"	28	6	2	20	37-85	12
„სიონი"	28	4	2	22	24-63	10

ცენტრალური ჯგუფი

„მაღარ."	30	25	4	1	92-31	54
„საირმე"	30	26	2	2	51-11	54
„მესხეთი"	30	16	3	11	45-36	35
„ჩიხურა"	30	14	7	9	58-41	35
„ვარძია"	30	14	4	12	53-39	32
„იმერეთი"	30	14	4	12	50-41	32
„თორი"	30	14	4	12	41-36	32
„კოლმეურ."	30	14	1	15	40-44	29
„აბული"	30	13	2	15	34-45	28
„მშენებელი"	30	8	10	11	32-38	26
„ზარზმა"	30	9	7	14	39-55	25
„ხვამლი"	30	9	5	16	27-62	23
„ლიახვი"	30	9	5	16	17-33	23
პოლ. ინსტ.	30	7	7	16	33-59	21
„იბერია"	30	8	1	21	31-59	17
„დილა"	30	4	2	24	25-32	10

დასავლეთი ჯგუფი

„კოლხეთი"	28	23	3	2	62-22	49
„მზიური"	28	22	3	3	101-28	47
„ოდიში"	28	18	4	6	62-28	40
„ნარინ." ქ.	28	13	4	11	54-51	30
„ჩიბათი"	28	12	4	12	44-41	28
„დვაბზუ"	28	12	3	13	55-43	27
„ალიონი"	28	11	4	13	45-62	26
„კოლხეთ."	28	10	6	12	47-57	26
„ზანა"	28	9	8	11	57-56	26
„მეშახტე"	28	10	5	13	60-68	25
„ნარინ." გ.	28	10	4	14	26-46	24
„კოლმეურ."	28	8	8	12	33-50	24
„სუბტროპ."	28	5	9	14	47-67	19
„დინამო"-2 ბ.	28	5	5	18	43-73	15
„ნაპერწკალი"	28	4	4	20	29-74	12

ევროპის ჩემპიონატი

I ჯგუფი

ესპანეთის ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტუმრად დაამარცხეს ალბანეთის ნაკრები — 2:1 (1:0). ისინი ლიდერობენ თავიანთ შესარჩევ ჯგუფში.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ესპანეთი	2	2	0	0	3-1	4
რუმინეთი	2	1	0	1	4-1	2
ავსტრია	2	1	0	1	3-4	2
ალბანეთი	2	0	0	2	1-5	0

V ჯგუფი

კიპროსის ფეხბურთელებმა ნიქოზიაში მიიღეს საბერძნეთის ნაკრები. პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით 2:1, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება წილად ხვდა საბერძნეთის ნაკრებს — 4:2.

საბერძნეთი	3	2	0	1	7-5	4
პოლონეთი	2	1	1	0	2-1	3
ჰოლანდია	2	1	1	0	1-0	3
კიპროსი	1	0	0	1	2-4	0
უნგრეთი	2	0	0	2	1-3	0

პირველ ლიგაში გადასასვლელად

გუშინ თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე, შედგა საფეხბურთო მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ I ლიგაში გადასვლის პრეტენდენტი გუნდები: „კოლხეთი" (ხობი) — „მაღაროელი" (ჭიათურა).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. პირველი წრის შემდეგ 3 ქულით ლიდერობს ხობის „კოლხეთი". გათამაშების მეორე წრე დაიწყება 8 დეკემბერს.

თასის ფინალში „მადნეული" — „სამეგრელო"

დღეს, თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე, გაიმართება ფეხბურთში საქართველოს 1986 წლის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან I ლიგის გუნდები: „მადნეული" (ბოლნისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ).

მსაჯი — ვ. მიმინოშვილი.

მატჩის დასაწყისი 14 საათზე.

გერვინი იტალიაში

ამ ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა „ბანკო დი რომამ" ახალ სეზონში საკმაოდ სოლიდური შევსება მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ ამ გუნდში ოლიმპიურ ჩემპიონ სკოტ მეისთან ერთად ჩაირიცხა პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი სუპერ ვარსკვლავი, „სანტ-ანტონიოს" აღიარებული ლიდერი ჯორჯ გერვინი. ასეთი გაძლიერების მიუხედავად, „ბანკო დი რომა" იტალიის ჩემპიონატში ჯერჯერობით წარუმატებლად გამოდის. ჩემპიონატის ერთ-ერთ უკანასკნელ ტურში გუნდი საკუთარ მოედანზე დამარცხდა მილანის „ტრაჩერთან" — 97:104.

საცდელი ტურნირის შემდეგ

მას შემდეგ, რაც ბუდაპეშტში მინი-ფეხბურთში საცდელი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, ფიფა-ს სპეციალურმა კომისიამ გამოაცხადა, რომ მომავალში მსოფლიო პირველობასაც ჩაატარებს. ამგვარად, მინდორი სიგრძით 42, სიგანით კი 22 მეტრი იქნება. კარი — 3X2-ზე. თითოეულ გუნდის ღირსებას მეკარის ჩათვლით 5 მოთამაშე დაიცავს, მოთამაშეთა შეცვლა დაუსრულებლად შეიძლება. მეკარეს შეუძლია ბურთი მხოლოდ მოედნის ცენტრამდე მიაწოდოს, თავისუფალი დარტყმის დროს „კედელი" 3 მეტრის დაშორებით აღიმართება და ა. შ.

ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირში, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს უნგრელებმა, რომლებმაც ფინალში პენალტების სერიით მოუგეს ჰოლანდიელებს (1:1, 4:1). მესამე ადგილზე იტალიელები გავიდნენ.

პელე — 67, მარადონა — 64

ცნობილმა ჟურნალისტმა ანიბალე ფროსიმ პელე და მარადონა ერთმანეთს 10-ბალიანი სისტემით შეადარა.

პელე		მარადონა
8	ტაქტიკური დისციპლინა	6
8	ფიზიკური კონდიცია	8
9	ნახტომი	9
9	დრიბლინგი	9
9	დარტყმა მარცხენა ფეხით	9
8	დარტყმა მარჯვენა ფეხით	7
8	თავით თამაში	7
8	საგოლე შესაძლებლობების გამოყენება	9
67		64

მაშ ასე, დღეისათვის მცირე უპირატესობა (67:64) პელეს მიეკუთვნება, მაგრამ მარადონას ყველა შესაძლებლობა აქვს გაუსწროს თავის სახელოვან წინამორბედს. მიმომხილველის აზრით, იგი სულ მცირე, 5 წელს მაინც ითამაშებს და თავის მონაცემებს გააუმჯობესებს.

ფეხბურთს გამოეთხოვა...

ფეხბურთს გამოეთხოვა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ცნობილი მეკარე პატ ჯენინგსი, რომელსაც თავისებური მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით (119).

პ. ჯენინგსს კარგა ხანია წასვლა უნდოდა დიდი ფეხბურთიდან, განვლილ ოთხშაბათს კი ქ. ბელფასტში შედგა გამოჩენილი მეკარის გამოსათხოვარი მატჩი. ორივე გუნდის შემადგენლობა შეადგინა თვით პ. ჯენინგსმა, მათში შედიოდნენ ცნობილი უცხოელი ფეხბურთელები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის კლუბებში გამოდიან. ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3.

ამორო იმედს არ კარგავს

როგორც საფრანგეთის ნაკრების ცნობილმა მცველმა მანუელ ამორომ ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოს" კორესპონდენტს განუცხადა, მისი გუნდი არ კარგავს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლის იმედს. ამისთვის საჭირო იყო ფრანგებს ლაიფციგში გდრ-ის ნაკრებთან, რომელთანაც ადრე ორი მატჩი ჰქონდათ წაგებული, ერთი ქულა მაინც მოეპოვებინათ. ფრანგებმა მიაღწიეს კიდეც ამას.

კითხვაზე, რა აზრისაა გდრ-ის ნაკრებზე, ამორომ მიუგო, რომ გუნდი მთელი 90 წუთის განმავლობაში იბრძვის, რაც შეეხება კოლექტიურ თამაშს, ამაში გდრ-ის ნაკრებმა ჰარმონიას ჯერ კიდევ ვერ მიაღწია.

მოსკოვის „დინამო" ამერიკაში ითამაშებს

28 იანვრიდან 8 თებერვლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნეს გამართავენ მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელები. როგორც სსრ კავშირის ფეხბურთის სამმართველოდან საქდესის კორესპონდენტს აცნობეს, დინამოელები მთავარი ლიგის ფეხბურთელებთან ექვს შეხვედრას გამართავენ დარბაზში. ისინი პრაქტიკულად მინი-ფეხბურთს ითამაშებენ.

მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ამერიკის საფეხბურთო ლიგამ არსებობა შეწყვიტა (ფინანსური პრობლემების გამო), ფეხბურთმა ამერიკის „ჰერქვეშ" დაიდო ბინა. ფეხბურთის ამგვარი ნაირსახეობა აქ დიდ ინტერესს იწვევს. ქვეყანაში ტარდება ეროვნული ჩემპიონატები. კლუბებში, რომლებიც ამ ჩემპიონატში გამოდიან, მრავლად არიან უცხოელი ფეხბურთელები, მათ შორის ურუგვაის, პერუს, ბრაზილიის ფეხბურთელები. ერთი სიტყვით, ამერიკაში მინი-ფეხბურთს თამაშობს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა თითქმის ნახევარი.

როგორც აპ-ს სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მოსკოვის დინამოელთა მონაწილეობით გამართული მატჩები დიდ ინტერესს იწვევს. ბილეთების გაყიდვა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებმა უკვე ბევრი განაცხადი მიიღეს.



მეტოქის შეცდომისთვის... გადათამაშება

1938 წელს სპორტსაზოგადოება „უროჟაის" ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვება თბილისის გუნდმა მოიპოვა. ეს ფოტო სწორედ ფინალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ არის გადაღებული.

მანამდე კი... თბილისელებმა საკმაოდ ძნელი სატურნირო გზა განვლეს. პირველ მატჩში, რომელიც ჩვენს ქალაქში მოეწყო, კიევის ძლიერი გუნდი მინიმალური უპირატესობით — 1:0 დაამარცხეს (გამარჯვების გოლი მეტოქის კარში ვალიკო ყურაშვილმა გაიტანა, ცენტრფორვარდმა, რომელიც „მოლოტიდან" იყო გადმოყვანილი).

მერე ჩვენი გუნდი ტაშკენტში გაემგზავრა და იქ ადგილობრივი ფეხბურთელები დაამარცხა — 3:1 (ყურაშვილმა იქაც ერთი გოლი გაიტანა). მომდევნო შეხვედრა მოსკოვში შედგა. თბილისელებმა ეს მატჩიც მოიგეს 3:2 (ჩვენებიდან ბურთები გაიტანეს: ყურაშვილმა, ხოზიაევმა და ქიგულიოვმა), მაგრამ მოსკოველებს საბუთები არ ჰქონდათ სწორად გაფორმებული და მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით შეხვედრა გადათამაშდა.

განმეორებითი ბრძოლა კვლავ თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა — 2:1 (გოლები გაიტანეს: ხოზიაევმა და ყურაშვილმა), ამ გამარჯვებამ ჩვენს კოლექტივს საპატიო ჯილდო — გარდამავალი თასი მოუტანა.

* * *

სურათზე (მარცხნიდან, დგანან): გუნდის მწვრთნელი კ. კრავჩენკო, ი. ივანოვი, ზ. ხოზიაევი, შ. მაისურაძე, ვ. ნიკოგოსოვი, გ. ქრისტესაშვილი, ნ. ოვსიანიკოვი, ი. კაზაზაშვილი, ვ. ყურაშვილი; პირველ რიგში: ა. შიპილოვი, მ. ხანდამოვი, ვ. ხიგულიოვი, მ. ზავალოვი (სამი მოთამაშე მეორე რიგიდან სათადარიგო შემადგენლობაში გამოდიოდა).

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

აკრობატთა ოთხეული

დასასრული

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე. ერთ სერიოზულ ტრავმას შეეძლო ყველაფერი წყალში გადაეყარა. საშიში იყო ისიც, რომ ასეთი ფორსირებული ვარჯიშით აკრობატები არ გადაღლილიყვნენ, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მავრანგელოვის ოთხეულის ერთმა წევრმა ფეხი მოიტეხა— ახლა მთელი იმედი სლივკოვის ოთხეულზე იყო დამყარებული.

და აი, მინსკში სპარტაკიადაზე გამგზავრებამდე ოთხი დღით ადრე ოთხეულის ზედა წევრს გოდერძი ახობაძეს ფეხის ცერი დაუსივდა. საჭირო გახდა ქირურგიული ჩარევა. სპარტაკიადის სარბიელზე ოთხეულის გამოსვლა საეჭვო გახდა. ყველაზე მეტად ამას თვითონ გოდერძი განიცდიდა.



კურიოზულად დაიწყო ბიჭების ჯგუფური შეჯიბრება. ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტებს, რუსეთის ფედერაციის აკრობატებს, პირველსავე ვარჯიშზე ხელი მოეცარათ და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ ნათელი გახდა ჩვენი აკრობატების მაღალი კლასი. მათმა შესრულებულმა რთულმა და მაღალმა პირამიდებმა მოხიბლა მაყურებელი. ისინი მკვეთრად გამოირჩეოდნენ პირუეტების მაღალი ამპლიტუდითაც.

სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის შემდეგ ჩვენები დამაჯერებლად დაწინაურდნენ.

ფინალში მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: შეჯიბრება „გრაფიკიდან ამოვარდა" და ჯგუფურ მოვარჯიშეთა გამოსვლა ერთი საათით დაგვიანდა. ამაში სხვა დროს საგანგაშო, ცხადია, არაფერი იქნებოდა, მაგრამ ჩვენი აკრობატებისთვის ეს მომენტი კინაღამ საბედისწერო გახდა. საქმე ისაა, რომ გოდერძის სარბიელზე გამოსვლამდე ერთი საათით ადრე ფეხის აუტანელი ტკივილი დაეწყო (მაშინ არავინ იცოდა, რომ თითი მოტეხილი ჰქონდა, ეს მხოლოდ თბილისში დაბრუნების შემდეგ გაირკვა). ფინალში ვარჯიში ბევრად უფრო რთულია. პირამიდაში მოძრაობა ნაკლებია და ჩვენებმა კარგად გაართვეს თავი, ყველაზე მეტი ქულა მოაგროვეს და ხუთი ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე მყოფ ყაზახეთის ოთხეულს. თავისუფალ ვარჯიშში, სადაც ინდივიდუალური დატვირთვა მეტია, გოდერძიმ ვეღარ გაძლო... ბოლო ვარჯიშის წინ მცირე უპირატესობით ყაზახეთი დაწინაურდა. დასკვნით ვარჯიშში, სადაც პირამიდისა და თავისუფალი ვარჯიშის ელემენტების ერთგვარი „ნარევია", გოდერძი ახობაძემ არაადამიანურ ტკივილს გაუძლო. ჩვენმა ოთხეულმა ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა, 0,6 ქულით გაუსწრო ყაზახეთს და ჩემპიონობა მოიპოვა.

ჩვენი სპორტსმენების ამ დიდი გამარჯვების სიხარულს სევდაც ახლდა, მათ ხომ გოდერძის გამო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამოსვლა ვეღარ შეძლეს. აქ გამარჯვება კი მათ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მოუტანდა.

რჩეულთა შორის კი ბევრი მოხვდა



თბილისის № 1 საბავშვო სახლს საქართველოს სპორტსახკომის ავტობუსი მოადგა. პირველ-მეორეკლასელები ჟივილ-ხივილით ჩასხდნენ მანქანაში. რამდენიმე მათზე ცოტა უფროსმაც ვერ მოითმინა და პატარებს გაჰყვა. სულ მალე ავტობუსი სპორტსახკომის მძლეოსნურ მანეჟთან გაჩერდა. იქ ბავშვებს მსაჯები ელოდნენ, თანაც, როგორი მსაჯები — რამდენიმე საკავშირო კატეგორიის არბიტრიც კი იყო. თუმცა, ბავშვები ჯერ გამოცდილი ექიმების ხელში მოხვდნენ, რომლებმაც მათ სიმაღლე, წონა, მაჯის ძალა, ფილტვების ტევადობა შეუმოწმეს და შერჩევა-შეჯიბრებისთვის მოამზადეს...

როგორც უკვე გაცნობეთ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სკოლა, რომელიც უხელმძღვანელებს პერსპექტიული ბავშვების შერჩევას სპორტში სავარჯიშოდ. „აქ უკვე 1300-მდე 6-7 წლის ყმაწვილმა გაიარა შემოწმება, — თქვა ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვალერი ვაშაკიძემ, — შემოწმება 12 დეკემბერს დამთავრდება, შემდეგ კი, სათანადო ანალიზის საფუძველზე, ჩვენს ჯგუფებში ჩავრიცხავთ 500-მდე ბავშვს, რომლებსაც შესაფერისი მონაცემები აღმოაჩნდებათ".

№ 1 საბავშვო სახლის აღსაზრდელებიც სწორედ ამ მიზნით მოიყვანეს მანეჟში. „კარგი იქნება, თუ ჩვენი ბავშვებიც მოხვდებიან რჩეულთა შორის, — გვითხრა საბავშვო სახლის მასწავლებელმა ლეილა კირვალიძემ, — დიდები უკვე დადიან სხვადასხვა სპორტულ სექციაში. აი, პატარები კი მხოლოდ ჩვენ შეჯიბრებებში თუ გამოგვყავს. ძალიან მოეწონათ აქაურობა".

...ჯგუფების დაკომპლექტებამდე, როგორც უკვე ითქვა, ჯერ ადრეა, მაგრამ მათში ალბათ საბავშვო სახლის მოსწავლეებიც მოხვდებიან. მაშინ ავტობუსი რეგულარულად ივლის ფიზკულტურის ინსტიტუტისაკენ.





„მერანი" №25

გამოვიდა გაზეთ „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" 25-ე ნომერი. დამატება იხსნება საჭადრაკო ოლიმპიადაზე სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების შესანიშნავი გამარჯვების მაუწყებელი ინფორმაციით. აქვეა დაბეჭდილი ჩვენი გუნდების ყველა წევრის ფოტოსურათი.

ამ დღეებში გამოვიდა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის არჩილ გოგელიას წიგნი „ასეთია სპორტული ცხოვრება". „მერანი" ბეჭდავს ერთ თავს ამ წიგნიდან, რომელიც სასიქადულო ქართველ მოჭადრაკეს ნონა გაფრინდაშვილს ეძღვნება.

თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი დავით ჯაფარიძე მკითხველს სთავაზობს წერილს „საზრიანი და საიმედო თანაშემწე-მასწავლებელი". სტატიაში საუბარია კომპიუტერისა და ჭადრაკის ურთიერთკავშირზე.

ორი გვერდი აქვს დათმობილი ვიქტორ გოგლიძის VII მემორიალის ამსახველ მასალებს. როგორც მკითხველმა იცის, ეს ტურნირი გუშინ დამთავრდა თბილისის ჭადრაკის სასახლეში.

რუბრიკით „ჭადრაკის კორიფეები" მოწოდებულ მასალაში „უდროოდ ჩამქრალი ვარსკვლავი" ავტორი თამაზ ებანოიძე გვესაუბრება წარსულში ცნობილი მოჭადრაკის გარი ნელსონ პილსბერის შესახებ.

საერთაშორისო ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში ველიმირ კალანდაძე მკითხველს სთავაზობს წერილს „ვარიაციები რიჰარდ რეტის იდეაზე".

ნომერში შეხვდებით სხვა მასალებსაც რუბრიკით „უცხოეთის პრესის ფურცლებზე", „ახალი ამბები", „ჩვენი ცნობათა ბიურო", „ძველი ამბების სკივრი", „სიბრძნის წყარო", „ერთი შემთხვევა" და სხვა.

კალათბურთის ამბები

კაუნასის „ჟალგირისმა" ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური ექვსეულის პირველი მატჩი თავის მოედანზე მოუგო ამ გათამაშების შეიდგზის გამარჯვებულს მადრიდის „რეალს" — 91:83 (51:39). ჩვენი კალათბურთელებიდან ყველაზე შედეგიანი იყო არვიდას საბონისი — 30 ქულა, სტუმართა გუნდიდან თავი გამოიჩინა ბრედ ბრენსონმა — 22 ქულა.

ამავე ტურნირში საფრანგეთის „ორტეზმა" სძლია მილანის „ტრაჩერს" (75:73), თელ-ავივის „მაკაბიმ" — იუგოსლავიის „ზადარს" (99:83).

გაიმართა კონტინენტის თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩებიც. ცსკა-ს მეტოქეებმა მეოთხედფინალურ ჯგუფში — ესპანეთის „ხუვენტუტის" (ბადალონა) კალათბურთელებმა დაამარცხეს საფრანგეთის „ვილერბანი" — 98:83. ჩვენი არმიელები უმასპინძლებენ სწორედ „ვილერბანს" 9 დეკემბერს, ბელგიის „რესინგმა" სძლია თურქეთის „ეფესას" — 111:90.

დიდ ინტერესს იწვევს ქალთა ტურნირიც. ევროპის ჩემპიონთა თასისათვის იბრძვის საბჭოთა კლუბიც — ნოვოსიბირსკის „დინამო", რომელიც 4 დეკემბერს მოსკოვში, პირველ მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდა ბელგრადის „პარტიზანს" და გაიმარჯვა 82:69 (39:34). გამარჯვებულებს 24 ქულა შესძინა ბაკულინამ, ბელგრადელთაგან საუკეთესო იყო კრივოკაპიჩი — 23 ქულა.

ქალთა ტურნირის სხვა მატჩების შედეგები: „პრიმიჯო" (ვიჩენცა, იტალია) — „უნივერსიტატია" (კლუჟი, რუმინეთი) — 80:40, „ლევსკი-სპარტაკი" (სოფია, ბულგარეთი) — „სპარტა" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — 67:62, „სტად ფრანსეზ" (ვერსალი, საფრანგეთი) — „აგონი" (დიუსელდორფი, გდრ) — 61:68.

იტალიის ნაკრების სახეს დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრავდა ორი სახელგანთქმული კალათბურთელი — 34 წლის გამთამაშებელი პიერ-ლუიჯი მარზორატი და 36 წლის ცენტრალური თავდამსხმელი დინო მენეგინი. ისინი ახლაც კარგ სპორტულ ფორმაში არიან, მაგრამ იტალიური კალათბურთის ხვალინდელი დღე, ცხადია, მარტო მარზორატი და მენეგინი როდია. იტალიის ნაკრები გაახალგაზრდავებას საჭიროებს. ისრაელის ნაკრებთან გამართულ ამხანაგურ მატჩში „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელი გამოსცადეს. მათ შორის იყო ჯენტილე, რომელმაც 1986 წელს ვენაში გამართულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე მიიქცია ნაკრების მწვრთნელების ყურადღება. განსაკუთრებით კარგად ითამაშა მან პრინციპულ მატჩი იუგოსლავიის ნაკრებთან — გუნდს 35 ქულა შესძინა. მის დებიუტს „სკუადრა აძურას" რიგებში ურიგოდ არ ჩაუვლია. იგი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო იტალიის ნაკრებში. 92:85 იტალიის ნაკრებმა კაზერტაში ამხანაგურ მატჩში მოუგო ისრაელის ნაკრებს. ახალგაზრდა ნიჭიერი კალათბურთელების ძიება გრძელდება და „სკუადრა აძურაც" ნელ-ნელა იცვლის სახეს.

მერაბ კალანდაძე.

კრივის სამყაროში

აიბა-ს ახალი პრეზიდენტი

ბანგკოკში გაიმართა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა-ს) მე-11 კონგრესი, რომელზეც ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს პაკისტანელი პროფესორი ანვარ ჩოუდრი.

აიბა-ს გენერალურ მდივნად არჩეულია ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, 56 წლის იურისტი კარლ-ჰაინც ვერი (გდრ).

აიბა-ს აღმასკომის შემადგენლობაშია მოსკოველი ვლადიმერ გორდიენკო. მსაჯთა კომისიის შემადგენლობაში კვლავ დაასახელეს მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, ერევნელი ვლადიმერ ენგიბარიანი, ხოლო მედიკოსთა კომისიაში — მოსკოველი პროფესორი ვიაჩესლავ ფრანცევი.

ტაისონი—ახალი მსოფლიო ჩემპიონი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ახალგაზრდა ამერიკელ მაკ ტაისონის გასაოცარი წარმატებების შესახებ, რომელიც იოლად ამარცხებდა მსოფლიო ჩემპიონობის ყველა პრეტენდენტს მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის.

ამ დღეებში ლას-ვეგასის (აშშ) სასტუმრო „ჰილტონის" დარბაზში მოეწყო მატჩი მძიმე წონის პროფესიონალთა შორის უბკ-ს („უორლდ ბოქსინგ კორპორეიშნ") ვერსიით. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი ტრევორ ბერბიკი და ახალგაზრდა პრეტენდენტი მაკ ტაისონი. შეხვედრა უკვე მეორე რაუნდში დამთავრდა. ტაისონმა რამდენიმე პირდაპირი ძლიერი დარტყმით ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ახლა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის სამი მსოფლიო ჩემპიონია: მაკ ტაისონი უბკ-ს ვერსიით, ტიმ უიტერსპონი უბა-ს ვერსიითა და მაიკლ სპინქსი იბფ-ს ვერსიით. ეს საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ როგორმე საერთო ენა გამონახონ და თავიანთი ჩემპიონები შეახვედრონ ერთმანეთს.

წარმატებათა სტარტი

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონმა — საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი მსოფლიოს პირველობის ახალ გათამაშებაში. — ჰოლანდიის ქალაქ ჰერლენში („ა" ჯგუფი) გუნდმა ანგარიშით 30:15 (11:9) მოუგო ავსტრიის ნაკრებს. 9-9 ბურთი გაიტანეს როსტოველებმა კორჩიკმა და ციგანკოვამ.

იუგოსლაველებმა ანგარიშით 25:15 (11:5) მოუგეს პოლონეთის გუნდს, ჩინელმა ხელბურთელებმა დაამარცხეს ნორვეგიელები — 29:19 (12:14).

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 68425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07727